



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაზეთი

№15 (9.729)

23-30 აპრილი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ბზობა - ბაიაობა



გვ. 2

„ხელოვნება თვით უკვდავება“



გვ. 3



გვ. 8

„ქველმოქმედებას არა აქვს საზღვარი“...

გავუფრთხილდეთ ღალამინას!

გვ. 6



გვ. 3

გიტი VS რეალობა

გვ. 5

რა არის თქვასი?

გზიურის თაობა

გვ. 3



ბმობა - ბაიაობა

უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრაი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.

„...ერი მრავალი, რომელიც მოსრულ იყვნენ დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები და ნაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, დაღაღებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისაი!“, - ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

მაცხოვრის შესვლა იესუსალიმის ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუზღაბდა, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძობის უცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული

გამოხატულება იყო. ასე ხდებოდა, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებისა და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

ამავე დროს, წმიდა სახარება საცნაურს ხდის იმ ფაქტს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ყოველთვის გაუბოდა მინიერ პატივსა და დიდებას. ის თავმდაბლობითა და სიმშვიდით იფარავდა თავს ამქვეყნიური ზეობისაგან.

როდესაც მაცხოვარი მიუახლოვდა ბეთაგესა და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მონაფე უახლოეს სოფელში გაგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო. მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს. ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიაში: „და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ზის იგი კიცვსა ვირისასა“ (იოანე 12, 14-15).

იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა

და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისა თა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“ (მათე 21, 9).

ბზის ან პალმის მშვენებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლად იერუსალიმში. ეს დიდი ხნის ტრადიციაა. V საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი წმიდა პროკლე, თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე ამბობს: „ხელთ ვიპყრათ პალმის ტოტები და შევეგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას“.


ღმერთი კი ყოველ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომუღავენების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს - მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.



სიყვარული, რომელსაც წლებმა ვერაფერი დააკლო...

მათი სიყვარულის ისტორია 50 წლის წინ დაიწყო. ანზორ ჯანიაშვილი მაშინ ახალგაზრდა, „დიპლომაინი“, პერსპექტიული და სასურველი სასიძო იყო. მშობლები მის მომავალზე ზრუნავდნენ



და სარძლოსაც მონდომებით არჩევდნენ, მაგრამ ბედისწერამ უამრავ მონონებულ გოგონაზე უარი ათქმევინა ანზორს და ახლობლის რჩევით ზემო მაჩხაანში კარგი გოგოს გასაცნობად ჩავიდა. პირველივე შეხვედრაზე მიხვდა, რომ „ის ის იყო“... ორთვიანი ნაცნობობა ქორწინებით დასრულდა და 50 წელია, ერთად არიან, ერთად იყოფენ ჭირსაც და ღვინასაც.

ჰყავთ ორი შვილი-თამარი და თამაზი. თამარი პროფესიით ექიმი და დღეს თბილისის ერთ-ერთ აფთიაქში მუშაობს, თამაზი მშენებელი ინჟინერია და კერძო ბიზნესითა დაკავებული. სამი შვილიშვილი ჰყავთ: გიორგი, თინიკო და ელენე. გიორგი უკვე სტუდენტია, საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობს, თინიკო წელს ამთავრებს საჯარო სკოლას, ნაბოლარა ელენე კი წლინახევრისაა და სამყაროს აღმოჩენასთან და ახალი სიტყვების სწავლასთან ერთად ბებია-პაპის გულს სულ უფრო ახარებს.

„მაშინ 24 წლის სულ ვიყავი, აქ, წითელწყაროში ყველმრენველი ვმუშაობდი, თან ვსწავლობდი. როდესაც ანზორი გავიცანი, მომეწონა, სიმპატიური და სუფთად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი იყო,

თან ზრდილობიანი. შემდეგ ჩემმა მამათილმა იაქტიურა ანზორთან ერთად და მალევე შეგუდდით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა არ ვიყავი, მაინც მრცხვენოდა სამსახურში იმის გახელა, რომ დაეინიშნე და ორი კვირა ვმალავდი საქორწინო ბეჭედს. ამაზე ახლა ალბათ ბევრს გაცვინება, მაგრამ მაშინ იმდენად მორიდებული თაობა იყო, რომ სულაც არ იყო ჩემი საქციელი გასაოცარი“- წარსულს ღიმილით ისხენებს ზესნა ტოკლიკიშვილი, რომელიც ბევრ ჩვენს თანაქალაქელს საბავშვო ბაღიდან ახსოვს. ის ხომ ჯერ N2 საბავშვო ბაღში, შემდეგ კი-32 წლის განმავლობაში N5 (ახლანდელი დედოფლისწყაროს N2 საბავშვო ბაღი) ბავშვბაღის გამგე იყო. ამიტომ ვინტერესდები მისი აზრით თანამედროვე განათლების სისტემის შესახებ.

- ქალბატონო ზესნა, როგორ შეაფასებდით დღევანდელ თაობას, რას იტყოდით განათლების სისტემაზე?
- ძალიან კარგი, ნიჭიერი თაობა მოდის. დღეს 2 წლის ბავშვებაც კი იმდენი რამე იცის, გაგიკვირდება ადამიანს. კომპიუტერმა ინფორმაციის მიწოდება უფრო იოლი გახადა. ერთი მხრივ ეს კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, წერის უნარ-ჩვევებს აჩლუნგებს და აზროვნების უნარსაც გადააჩვია თანამედროვე ახალგაზრდობა, წიგნს დაამორა ისინი. რაც შეეხება განათლების სისტემას, მეჩვენება, რომ პროფესიონალიზმის პრობლემა დგას სერიოზულად. ძალიან კარგია, რომ საბავშვო ბაღებში სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა, ვგულისხმობ ინფრასტრუქტურას, კვებას, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ფაქტორი ბავშვების სიყვარულია, მათთვის შეუძლებლის გაკეთებაც... ჩემი მოკრძალებული რჩევაა ყველა მოქმედი თუ მომავალი ბაღის მასწავლებლისადმი- თუ ბავშვი არ გიყვარს, სამუშაოდ საბავშვო ბაღში არ უნდა ნახვიდე.

- რა არის მტკიცე ოჯახის საიდუმლო?

- ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა, ამის გარეშე წარმოუდგენელია მყარი ოჯახი. დღევანდელ ახალგაზრდებს რომ ვუყურებ, ისე იოლად ანგრევენ ოჯახებს, მიკვირს, მოთმინების უნარი საერთოდ აღარ აქვთ. ტაქტი რომ მართებს ყველას, ამაზე არ ფიქრობენ. ამის გარეშე ნებისმიერი ურთიერთობა წარმოუდგენელია და მით უფრო, ოჯახი, ცოლ-ქმრის ურთიერთობა...

ყოველთვის ვგრძნობდი ანზორის გვერდში დგომას, სახლშიც, სამსახურშიც, ამის გარეშე ვერ შევძლებდი შვილების გაზრდას და მუშაობას ერთდროულად... ჩვენ დიდი ოჯახი გვქონდა- დედამთილთან და მამამთილთან ერთად ვცხოვრობდი და არ მახსოვს, ჩვენს შორის კონფლიქტი ყოფილიყო, ძალიან მტკივნეულად გადავიტანე მათი გარდაცვალებაც...


ახლა მარტო იმაზე ვდარდობ, ავად რომ ვარ, ნაკლებ საქმეს ვაკეთებ და ანზორის ვაწუხებ, მაგრამ კვლავ მისი წუგეში მამშვიდებს- ამდენი წელი ხომ აკეთებდი საქმეს, ეხლა გეყოფაო...

ანზორ ჯანიაშვილი პროფესიით აგრონომია, წლების მანძილზე თავისი პროფესიით მუშაობდა და სოფლის მეურნეობის სფეროში მდიდარი გამოცდილება აქვს. ამიტომ დავინტერესდები, რას ფიქრობს დღეს აგრორულ სფეროში არსებულ ვითარებაზე, რაშია გამოსავალი?

- დღეს ცოტა აგდებულად კი საუბრობენ კომუნისტურ წყობაზე, მაგრამ მაშინ სოფლის მეურნეობა განვითარებული იყო, საქონელიც ბევრი იყო და ბალ-ვენახებიც. დილის 6 საათზე უკვე მინდორში იყო გასული ხალხი, კოლმეურნეობაში მუშაობდა ყველა და დოვლათიც იქმნებოდა. ახლა კერძო სექტორია და ჭირს სამუშაო ადგილები. მთავრობა კი ეხმარება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს,

მაგრამ კერძო სექტორში უხეზად ვერ ჩაერევა. კერძო მენარმემ თუ არ შექმნა სამუშაო ადგილები, სახელმწიფო აქ ვერაფერს იზამს. ასე რომ, ჯერი ისევ იმ ადამიანებზეა, რომლებმაც მენარმეობა უნდა განავითარონ და ქვეყნის აღმშენებლობაზეც იზრუნონ...

ვუყურებ მათ ნახევარსაუკუნოვან ოჯახს და მიხარია, რომ წლებმა ამ ორი ადამიანის ურთიერთობას ვერაფერი



დააკლო, მათი თვალებიდან ის საოცარი სითბო და სიყვარული იღვრება, სიტყვები რომ უძლურია გამოსახატავად... მათ კვლავ უყვართ ერთმანეთი და ეს გრძნობა ურთიერთზრუნვასა და პატივისცემაში გამოიხატება. როგორც თავად ამბობენ, წლებმა მათ სიყვარულს ფერები კი არ გაუხუნა, არამედ მხოლოდ შეუცვალა და უფრო ნათელი გახადა. ყოველდღიურ ნაცრისფერ ყოფასაც ეს სიყვარული უფერადებთ...

მითი VS რეალობა დედოფლისწყაროში წყლის პრობლემა დაიდგება?!

ზაფხულის მოახლოებასა და ტემპერატურის მატებასთან ერთად, წყლის მოხმარებაც იზრდება. დებეტის უკმარისობის გამო კი წყალმომარაგების შეზღუდვის საფრთხე დგება და გრაფიკის დაწესების აუცილებლობაც წარმოიქმნება. მკითხველისთვის ცნობილია, რომ ცენტრალურ რეზერვუარში დებეტის გაზრდის მიზნით, ორი წელია, დედოფლისწყაროში გეოლოგების ჯგუფი მუშაობდა, რომელთა მიერ შეიქმნა წერტილები, სადაც ახალი ქაბუჩილები უნდა მოეწყოს.

პროექტზე მილიონამდე ლარი დაიხარჯება და მისი პირველი ეტაპი ივნისში უნდა დასრულდეს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „ენ-დე-ეს მშენებლობა“ აწარმოებს. პროექტის მეორე ეტაპზე რეზერვუარის და გადასატუმბად საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დებეტი უახლოეს კვირებში უნდა გამოცხადდეს.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სა-

რეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. გასულ კვირას მიმდინარე სამუშაოები დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დაათვალიერა. სპეციალისტების აზრით, ამ ტერიტორიაზე არსებული მონაცემები საიმედოა.

„5-6 მეტრ სიღრმეზე ჩავდივართ, საერთო ჯამში, 300 მეტრიანი სიღრმის დრენაჟის მილი იფინება. შედეგად დამატებითი წყლის რესურსის მოპოვებას შევძლებთ, წამში 13-14 ლიტრის ოდენობით. კეთდება 7 ჭა, რომელიც წყალშემკრებ ქაში მოიყრის თავს. შემდეგ აუზში შეგროვდება და პროექტის მეორე ეტაპზე ამენდება სხვა მაგისტრალი, რის მეშვეობითაც ცენტრალურ რეზერვუარში გადაიტუმბება,“ - ამბობს სამუშაოთა მწარმოებელი ცეზარ ქარაძე.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „ბოლო წლებში წყალმომარაგების კუთხით პრობლემები



არსებობდა დედოფლისწყაროში. ჩვენი მხრიდან დაპირება გაიცა, რომ საკითხი მოგვარდებოდა. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად მივალნიეთ იმას, რომ ამ ადგილას 820 000 ლარის სამუშაოები მიმდინარეობს. კომპანიის წარმომადგენლები გვარწმუნებენ, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და გრაფიკზე ჩამორჩენა არ გვექნება. სულ მალე გამოცხადდება კიდევ ერთი ტენდერი, რის მიხედვითაც სატუმბო სადგური, აუზი და მილის მოწყობა მოხდება. პროექტის დასრულების შემდეგ კი საშუალოდ, წამში 10 ლიტრის ოდენობით გაიზრდება ჩვენი წყლის რესურსი. ვფიქრობ, რომ ეს სრულიად საკმარისი ოდენობაა საიმისოდ, რომ ზაფხულის ცხელ დღეებშიც შეუფერხებლად მოხდეს წყლის მიწოდება მოსახლეობისთვის და გრაფიკის დაწესება აღარ მოგვინოს. ქალაქი დედოფლისწყარო, სოფლები ხორნაბუჯი და სამრეკლო წელს შეუფერხებლად მი-

ლებენ წყალს. დღესაც 24 საათიან რეჟიმში ხდება წყალმომარაგება, რაც იმას ნიშნავს, რომ კახეთის მასშტაბით ყველაზე კარგი წყალმომარაგება ჩვენ გვაქვს და ვმუშაობთ, რომ ეს მაჩვენებელი შევიწარმოოთ“.

პროექტის დასრულების შემდეგ ობიექტების მართვას „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრი – მოახდენს. ადგილობრივი სერვისცენტრის უფროსი ბნა ბობილაშვილი ამბობს, რომ ამჟამად წყალმომარაგებაზე შეფერხება არ არის. თუმცა აქვე დასძენს, რომ ცენტრალური რეზერვუარი გასანმენდია, აუზში გემიური განმენდის ჩასატარებლად კი მოსახლეობისთვის ხუთი დღით წყალმომარაგების შეწყვეტის აუცილებლობაა, რის გამოც ფიქრობენ, როგორ განხორციელდეს ეს პროცედურა.

ილია გარტყოფლიშვილი



„ხელოვნებაა თვით უკვდავება“



გრძელდება გამოფენა-გაყიდვები სოფელ ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში: ხელნაკეთი ნივთების, ნახატების, ნაქარგების, ნაქსოვების, ეროვნული სამოსით გამოწყობილი თოჯუნების ამჯერად გამოცხადებულ საინტერესო პიროვნებას, თვითნასწავლ ხელოვანს, ორი შვილის დედას ეკატერინე კიკილაშვილს. იგი დაიბადა 1980 წელს სკოლა დაამთავრს სოფელ ჯუგაანში, შემდეგ სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სიღნაღის ფილიალში ისტორიის ფაკულტეტზე ხელოვნებით დაინტერესდა ცოტა მოგვიანებით და იყენებს ყველაფერს: ბუმბულებს, ბისერებს, ყავის მარცვალს, აკეტებს, ყვავილებს, კალათებს. ამჟამად ცხოვრობს დედოფლისწყაროში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, იგი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას და შექმნის ახალ-ახალ ლამაზ ნივთებს.

მეორე მონაწილე გახლავთ მაკა (მარიამ) ლომიშვილი იგი დაიბადა 1981 წელს ჰყავს ერთი შვილი, დამთავრებული აქვს უმაღლესი და სამხატვრო სკოლა. უყვარს ხელოვნება და ხელოვანი ხალხი. მან დაიწყო ბისერებით მუშაობა, ხოლო მოგვიანებით ტახვა და სამკაულების კეთება თავისი დის დახმარებით ახლა მესამე და თამუნაც მუშაობს ნივთებზე.

ქატიკვან მჭედლიშვილი ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი.

ღირსეული დაჯილდოება

საქართველოს მწერალთა სახლში საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ დედა ენის დღისადმი მიძღვნილი დიდი ღონისძიება გაიმართა. ამ ღონისძიების ერთ-ერთი აკორდი დაჯილდოვება გახლდათ. ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ყოფილ დეკანს, მრავალი ჟურნალისტიკის გამომზრდელსა და დამკვალისებელს, პროფესორ ნოდარ ტაბიძეს, გაზეთ „საქართველოს ღირსეული“ რედაქტორს, ქალბატონ ეთერ ფაცურას და მის მოადგილეს ნანა ჭიჭინაძეს ნაყოფიერი პუბლიცისტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის „ღვანულმოსილის“ ნოდარ მიენიჭათ და შესაბამის სიგელებთან ერთად საჩუქრად გადაეცათ საიუბილეო კრებული „ცისფერყანწელები-100“. ეს საპატიო მისია შესრულეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მწერალმა რევაზ მიშველაძემ და თანათავმჯდომარემ, ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა პოეტმა და მშენებელმა ქალბატონმა მაცვალა გონაშვილმა.

ვუსურვოთ დაჯილდოებულებს კვლავაც დიდი წარმატებები. გამორჩეულად ვეფერები ჩემს უსაყვარლეს ლექტორს ნოდარ ტაბიძეს, ვუსურვებ მას სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას და ჯილდოსთან ერთად ვულოცავ დამდეგ აღდგომას. უფალი გვფარავდეთ, ბატონო ნოდარ!

ნაირა ბორაშვილი



მზიურის თაობა



გა- თქვენ ხართ ის მე-40 წლის განახლებული თაობა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ახალი სამყაროსკენ უნდა წაიყვანოს. თქვენ შეგნევთ ძალა, იბრძოლოთ ახალი მომავლისთვის, რომელსაც იმსახურებთ. თქვენ, ზუსტად თქვენ, უდაბნოში მოხეტიალე თქვენი სამშობლო სინათლისკენ უნდა წაიყვანოთ! თქვენშია ახლა ეს ძალა და ენერჯია, თორემ მე... მე თითქმის ამ სამყაროს აღარ ვეკუთვნი. ალბათ ვთქვი ჩემი სათქმელი ისე, როგორც შემეძლო. ჩემი თაობა ვერ შეედრება მზიურის თაობას. იმ მზიურის თაობას, 13 ივნისის შიშველი ხელებით რომ წმენდა ქალაქს ტკივილიან ცრემლებს." - გაჩუმდა. დაჯდა. აღელვებული ჩანდა. ყველა დუმდა. მე ერთ წამში ათასნაირი განცდა დამეფულა. ტკივილი და სიხარული ერთმანეთში ამერია. ვერ ვარჩევდი, რომელი ჭარბობდა. უბრალოდ ვხვდებოდი, რომ სხვა კუთხით დავინახე ჩემი ლექტორი. ადამიანი, რომელიც მუდამ მთელი გრძნობით გვიყვებოდა ზევსა და ათენაზე, ჰომეროსსა და მის გმირებზე. თანაუგრძობდა სამშობლოსგან მოწყვეტილი ოდისევსს. დღეს კი ბერძნული მითების სამყაროს შეელია და ჩემი თავი დამანახა. შემახსენა, მსმენელის როლში ყოფნა მთლად კარგი საქმე ვერ არისო. მომაგონა, რომ მაქვს ხმა, რომელიც შეიძლება ერთხელაც გადაწყვეტი აღმოჩნდეს.

დღის 11 საათი. 317-ე აუდიტორია. ანტიკური ლიტერატურის ლექცია. ფიქრია, როგორც ყოველთვის, საინტერესო კითხვებს სვამს. ის უკვე ფილოსოფიის მეოთხე კურსის სტუდენტია და ალბათ, ამიტომ. ყოველთვის ამას მივანერ მის ღრმავროვან შეკითხვებს. ისიც მომწონს, როგორ ბუნებრივად ერთვება ლექტორს მონოლოგში და მანამ არ ჩერდება, სანამ თავის კითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებს. პირველკურსელებისთვის ასეთი „სითამამე“ ცოტა უცხო რამეა. უფრო ხშირად მსმენელის როლში ვართ. თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ მოსმენითაც კი სახლში საოცრად გამდიდრებული ბრუნდები, დატვირთული ახალ-ახალი ფიქრებით, ხედვებით და იდეებით.

ესქილესთან აბა რა შუაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფიქრისა წყალობით საქართველოს ღრმა წარსული გავიხსენეთ. მერე მოვეყვით, მოვეყვით და 9 აპრილამდეც მოვედით. მე ხან ფიქრის მიეჩრებვიარ, ხან ჩემს ლექტორს. ვხვდები, რომ რალაც საინტერესო იწყება.

„ჩვენი თაობა დაკარგული თაობაა,“ - დაიწყო ლექტორმა და ჩაფიქრდა. „მაგრამ მაინც ბევრი რამე გავაკეთეთ, დედაენა გადავარჩინეთ, 9 აპრილიც, ასე თუ ისე, ჩვენს ანგარიშზეა, მაგრამ ჩვენში მაინც არ არის ის საოცარი თავისუფალი სული, რაც თქვენს თაობაში ცოცხლობს. თქვენ სრულიად თავისუფლები ხართ საბჭოთა კავშირის ბინძური იდეოლოგიური წარჩენებისგან, ამიტომაც ხართ ის, ვინც ხართ“. სმენა დავაძაბე. გავიტრუნე. „თქვენ გგონიათ, მოსემ ებრაელები უბრალოდ ახეტიალა 40 წელი უდაბნოში, სანამ აღთქმულ მიწამდე მიიყვანდა? 40 ჩვეულებრივი რიცხვი არ გეგონოთ, სიმბოლურია. 40 წელიწადში თაობა იცვლება. მოსემ განახლებული ებრაელები შეიყვანა აღთქმულ ქვეყანაში - განახლებული სისხლით, განახლებული ღირებულებებით, მამა-პაპის ცოდვებისგან განწმენდილნი, სუფთა დაფები, რომლებზეც ებრაელთა ახალი ისტორია უნდა დაწერილიყო. ჰოდა, თქვენ, - ფეხზე წამოდ-

გახდა განათლება ჩვენი პრიორიტეტი? რით ვერ მივხვდით, რომ იაფფასიანი შოუების დრო უნდა დამთავრდეს? რით ვერ მივხვდით, რომ ვილაცის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებაზე მნიშვნელოვანი მასწავლებლების ჩაჭრა? ხმამაღლა ვამბობ - ეს არის ეროვნული ტრაგედია! ეს ნიშნავს, რომ თქვენი შვილების დიდი ნაწილი სკოლას რეალური ცოდნის გარეშე ამთავრებს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვერასოდეს აღვზრდით მოაზროვნე, მცოდნე და ჭეშმარიტად თავისუფალ თაობას.

მე მჯერა, რომ სტუდენტების პროტესტი არ არის უსაფუძვლო! მჯერა, რომ მათი უმრავლესობა გულანთებულია თავისი უნივერსიტეტის სიყვარულით. მჯერა, რომ ისინი ჩემი და თქვენი უკეთესი მომავლისთვის იბრძვიან. მე მომწონს მათი შუუპოვრობა, რომელიც აიძულებს საკითხზე პასუხისმგებელ პირებს, სმენა დაძაბონ და გაიგონონ ჩვენი ხმა. ღრმად მწამს, რომ გამოცდის მსვლელობისას ჭერი თავზე არ უნდა გენგრეოდეს. მჯერა, რომ ამ დროს გულდამშვიდებული დამკვირვებელი არ უნდა გეუბნებოდეს, რომ წერა განაგრძო, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ „ჩამოსანგრევი აღარაფერია“. მჯერა, რომ ხმა უნდა ამოვიღო, რომ ბოლომდე უნდა ვიბრძოლო ხარისხიანი განათლების მიღების უფლებისთვის. რატომ? თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ხვალ, როცა ჩემი პროფესიონალიზმის დამტკიცების დრო დადგება, არ ჩავიჭრა და თქვენს შვილებს ნორმალური, საფუძვლიანი განათლება მივცე. მე მჯერა, რომ ცხოვრების ეს 4 წელი ცხოვრების საძირკველია, ის დროა, რომელიც აღარასოდეს დაბრუნდება. ამ დროის წართმევას კი ვერავის ვაპატიებ!

ჩემი თაობა ის თაობა არ არის, რომელიც ასე ადვილად გაჩუმდება, ადვილად მოტყუვდება და ადვილად დაიხვეს უკან. მე მრცხვენია, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში, ჩემს ქვეყანაში ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ განათლებას. სფერო, რომლის განახლებისთვისაც დღეს სწორედ ჩემი თანატოლები იბრძვიან. ვეკითხები ჩემს თავს და თქვენც: რით ვერ

მე მწამს მზიურის თაობის. მჯერა, რომ ჩვენ სწორედ ის მე-40 წლის განახლებული თაობა ვართ, რომელიც აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს და მნიშვნელოვან კვალს დატოვებს საქართველოს ისტორიაში.

ნუ დაიჯერებთ, რომ ჩვენ დახეულ ჯინსებში მოსიარულე, თავხედი, გაუზრდელი და უეციო თაობა ვართ. ჩვენი დაბადების დღე 13 ივნისია, დაბადების ადგილი - ქალაქი თბილისი, ტალახიანი მზიური. ჰოდა, სანამ ტალახს გვესროდეთ, ჩემი თანატოლების სიტყვებს დაუგდეთ ყური: „ახლა რომ ვინმემ მკითხოს: რა გითხრათ, რით გაგახაროთო, მზიურელი ვარ-მეთქი, ვეტყვი და მორჩა. იცით, პატარ-პატარა მზეები აგვიფეთქდა მე და ჩემს ტოლებს გულეებში და ახლა თუ ვინმეს უნდა მზიანი საქართველოს ნახვა, ჩვენთან მოდით! ჩვენ ჩვენი კანუდოსის შენება დავინწყეთ, დედაჩემო და ღმერთმა არ ქნას, ამ ბრძოლაში დავემარცხდეთ. არც დავემარცხებით! მე კი შენ და შენს ტოლებსაც მინამდევ და გიხრით თავს და მადლობას გადაგიხდით, რომ ყველაფრის ფასად აქამდე მოგიყვანეთ. სულ მალე კი ჩვენ ნავილებით ჩვენ ნილ ნასალებს. ჩვენ ვიტვიროთ თავი ჩვენ ნილ ტვირთს. ლაფში ამოსვრილი მზიურის განმენდა თუ შიშველი ხელებით მოვახერხებთ, გაუტანლობაში ამოსვრილი ქვეყნის განმენდასაც შევძლებთ და გვედრებით, უბრალოდ გჯეროდეთ, უბრალოდ გჯეროდეთ ჩვენი. ჩვენ მზიურის თაობა ვართ!“

სოფიო მინთაშაშვილი



ორი აქცია ტექნიკურ უნივერსიტეტთან და დაპირისპირებული სტუდენტები

რექტორის არჩევნებს დაპირისპირება მოჰყვა ტექნიკურ უნივერსიტეტშიც. რამდენიმე დღეა, მღელვარება არ წყდება აქ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსის წინ პარალელურ რეჟიმში 2 აქცია მიმდინარეობს. სტუდენტების პირველ ჯგუფს, შენობის შესასვლელთან, ცოცხალი ჯაჭვი აქვთ შექმნილი და აცხადებენ, რომ უნივერსიტეტს გარე ძალებისგან იცავენ შეძახილებით, „უნივერსიტეტიდან შორს ხელები, უნივერსიტეტი ჩვენია“.

მათივე თქმით, საპირისპირო მხარეს მიმდინარე აქციაზე შეკრებილები არ არიან სტუდენტები და „საიდანაც მოსული ხალხი“. მეორე აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ მათი აქციის მიზანია, გადადგეს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, გატარდეს რეფორმები, რადგან „სწავლის დონე არის დაბალი“. მათი თქმით, მე-6 კორპუსთან მდგომი სტუდენტები თვითმმართველობის წევრები არიან, „ისინი იცავენ რექტორის სკამს და, თავისთავად, საკუთარ პრივილეგიებს“. როგორც ისინი აცხადებენ, მათ მხარეს აქციაში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები, ასევე თსუ-ისა და ილიაუნის სტუდენტები, რომლებიც მათ სოლიდარობას უცხადებენ.



ხალხის აზრი

რა არის ოჯახი?

დიახ, დღეს მინდა ვიმსჯელოთ, თუ რა არის ოჯახი, რა ფუნქცია აქვს მას და ერის მომავლის წინაშე რა ვალდებულებები ეკისრება.

პარლამენტში განსახილველად შეტანილ პროექტს საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს ოჯახის განმარტების შემდეგ ფორმულირებას: „ოჯახი არის მამაკაცის და ქალის ნებაყოფლობითი თანაცხოვრება“ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა

მარინა (58 წლის, პედაგოგი) - ჩემთვის სხვა აზრი, რომ ოჯახი ქალის და მამაკაცის თანაცხოვრებაა, არ არსებობს, რადგან, მიმაჩნია, რომ ოჯახი არა მხოლოდ საზოგადოებრივი ფორმაციაა, არამედ ვალდებულებაც ერის და ქვეყნის წინაშე. ოჯახი ორი ადამიანის ურთიერთ ეკონომიკურ უზრუნველყოფას და სარეცეპტის გაყოფას კი არ გულისხმობს მხოლოდ, არამედ, პირველ რიგში, გამრავლებას, შვილებს და შვილიშვილებს,

და კაცია. თვით ღმერთმა შექმნა ადამი და ევა და სამოთხეში დაასახლა. ამით ყველაფერია ნათქვამი. ისინი, რომლებიც უფლის მიერ დადგენილ პრინციპებს ლალატობენ, პასუხს აგებენ თავისი სოდომ-გომორის ცოდვების გამო. რაც უფრო ნაკლები ცოდვილი ეყოლება უფალს, მით უკეთესი.

ნანა (55 წლის, პედაგოგი) - სრულიად ვეთანხმები იმ ინიციატივას, რომ კონსტიტუციით განისაზღვროს და განმტკიცდეს

ვისი ცხოვრების გზა აქვთ; სასურველია, უზნაურად იცოვრონ ისე, როგორც სურთ და სხვაეზს თავზე ნუ მოახვევენ თავის აზრს. საბოლოოდ კი ყველას გზა ერთ ნერტილში, უფალთან იყოს თავს. იქ გამოჩნდება მტყუანი და მართალი სწორი და მრუდი.

ქალნა (53 წლის, ეკონომისტი) - ვუერთდები საზოგადოების უმრავლესობის აზრს, რომ ოჯახი ეს ქალის და მამაკაცის თანაცხოვრებაა მხოლოდ, რადგან ერს, უპირველესად, გამრავლება და განვითარება სჭირდება. ვფიქრობ, ყველა შემდგარ ადამიანს, სრულყოფილს და სრულფასოვანს სხვა აზრი არ გააჩნია და არც სხვა მოტივაცია. იმედი მაქვს, ჩვენს კონსტიტუციამ ხალხის ნება აისახება ისე, როგორც სინამდვილეში არის და არა მიმბაძველობით და ისე, როგორც სხვას, მესამე პირს თუ ქვეყანას ეამება და მოეწონება. რაც შეეხება განსხვავებულ ორიენტაციას, ეს არ ახალია - ძველია! ასეთი ადამიანები იყვნენ ყოველთვის, არიან დღესაც და იქნებიან ხვალაც. აქ მთავარი სხვა რამ არის: არ უნდა მოხდეს ამ თემით სპეკულირება არც პოლიტიკური და არც მატერიალური თვალსაზრისით. ბევრი პარტია სარგებლობს და დროდადრო წამოწმებს ხოლმე აქ საკითხს, რათა ამ კატეგორიის ადამიანთა ნდობა და ხმები მოიპოვოს, არასამთავრობოები კი მათ მხარს უზამენ და ცდილობენ, შეინარჩუნონ დაფინანსება, რომელსაც ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან იღებენ. ეს ყველაფერი კი ჩვენი ერის ზნეკეთილობას, მიზნებს და მისწრაფებებს სრულიად არ შეესაბამება. უამრავი განსხვავებული ორიენტაციის წარმატებული ადამიანი იცის ისტორიამეფეები, მხედართმთავრები,

რეობას, მაგრამ ამაზე გაუთავებელი მსჯელობა, აჟიოტაჟი და განქიქება, მიუღებელია, არაცივილურია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამ თემით სპეკულირებას თავი უნდა დაანებონ. მათ ვინმეს მფარველობა და ნაქიქება არ სჭირდებათ. ნუ გამოფხვნი ყველაფერს საამუკარაოზე. მივცით საშუალება, ჰონდეთ თავისი სამყარო და საიდუმლოდ შეინახონ ის.

ბაღრი (24 წლის, სტუდენტი) - ოჯახი რომ ქალის და მამაკაცის ერთობაა, ამასი ორი აზრი არ არსებობს. ეს ასე იყო, ასე არის და ასე უნდა იყოს. კონსტიტუციამ ამის გარანტია უნდა მისცეს ჩვენს მომავალ თაობას. განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები კი მოსახლეობის იმდენად მცირე ნაწილს წარმოადგენენ, რომ არ ღირს ამაზე ამხელა ამბის ატეხვა. ვფიქრობ, ეს უფრო პოლიტიკური სვლა არის არაკეთილმოსურნე ადამიანების მხრიდან, აბრყვიეები მათ და ხშირად ახარბებენ კიდევაც მატერიალურად, რომ გამოიყენონ ისინი. გაეუშვათ, იყვნენ და იცხოვრონ ისე, როგორც სწორად მიჩნიათ დღეს. ხვალ და რომ ზეგ მიხვდებიან, ხელში არაფერი შერჩათ არც შვილი, არც მომავალი საკუთარი დამცხრალი ვნებების გარდა, ინანებენ. ამიტომ მათზე ამდენი ლაპარაკი არ არის საჭირო. სუსტი ნებისყოფის ადამიანებმა აიტაცეს და თავს ყველაფრის უფლება მისცეს. შემდგარმა ადამიანმა თავის თავს უნდა აჯობოს და ნორმალურ კლასობაში მოაქციოს თავისი ცხოვრება.

ჩვენო მკითხველო, რესპოდენტთაგან რამდენიმე შევარჩიეს და გავითვალისწინეთ მათი ასაკი და სოციალური სტატუსი. როგორც ხედავთ, მათი აზრი, სხვადასხვა ფორმით გამოთქმული, ერთი სწორი და ფუნდამენტური



ზოგიერთი პარტიის, ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების და ლგბტ თემის წარმომადგენელთა მხრიდან. ამ ფონზე პარლამენტმა გადაწყვიტა, იურიდიულ საკითხთა კომისიას შეხვედრები გამართა რეგიონების მიხედვით და გაეგო, თუ რას ფიქრობს ხალხი აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით. შეხვედრა უკვე გამართა რამდენიმე რეგიონში, მათ შორის კახეთშიც. თელავში გამართულ ამ ონლაინ-შეხვედრაში წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ესენი, ძირითადად, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები იყვნენ საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად. მათ ერთმნიშვნელოვნად დაუჭირეს მხარი ოჯახის ამ სახით ფორმულირებას და კონსტიტუციაში მის დაფიქსირებას. დღეს ჩვენ გვინდა შემოგთავაზოთ თუ რას ფიქრობენ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც არავითარი ვალდებულება არ გააჩნიათ არც რომელიმე პარტიასთან და არც ხელისუფლებასთან. ისინი თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს. მინდა წინასწარ გითხრათ, რომ ჩვენს მიერ პირადად თუ ტელეფონით გამოკითხული ასამდე რესპოდენტთაგან ყველამ ერთხმად დააფიქსირა, რომ კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს ოჯახის განმარტება მკაფიოდ და ცალსახად, რომ ის არის „მამაკაცის და ქალის ნებაყოფლობითი თანაცხოვრება“, თუ რატომ, ამას ყველა თავისებურად ხსნის. ჩვენი შეკითხვა ორი ნაწილისაგან შედგებოდა და ასე უღერდა:

შთამომავლობას. ეს კი ქალის და მამაკაცის ურთიერთობის ნაყოფია და რადგან კონსტიტუცია არეგულირებს ქვეყნის ყოფას და ცხოვრებას, ოჯახის განმარტებაც სწორედ ასე უნდა დაფიქსირდეს და აუცილებლად. ჩემთვის ძალიან მტკივნეული იქნება, ათასი გამოკითხულიდან ერთი მაინც თუ დააფიქსირებს, რომ არ ეთანხმება ასეთ ფორმულირებას. ის ადამიანი ჩემს თვალში ყოველგვარ ღირსებას დაკარგავს. რაც შეეხება განსხვავებული ადამიანების უფლებებს, არანაირად არც იზღუდება და არც შეურაცხყოფელია მათთვის ეს ფორმულირება. ყველა თვითონ ირჩევს თავის ცხოვრების გზასაც და ორიენტაციასაც. ჩვენ კი, ვალდებული ვართ, ჩვენს შთამომავლობას ვასწავლოთ, რა არის სწორი და მისაღები და რა არასწორი.

მინილი (52 წლის, მძღოლი) - წყალი არ გაუვა, რომ ოჯახი მხოლოდ მამაკაცის და ქალის ერთად ყოფნით იქმნება. ოჯახი, რომელსაც შვილი არ ეძლევა, ყველას გვეცოდება, რადგან ოჯახის შექმნის მთავარი მიზანი სწორედ ეს არის. თუ ყველა ისე მოექცევი, როგორც მოგვეპოიანება, თუ არ ვიფიქრებთ, რომ ისედაც პატარა ჩვენი ერი არ გადაშენდება, მაშინ ცხოვრებას აზრიც აღარ აქვს. ქალის ქალთან და მამაკაცის მამაკაცთან თანაცხოვრება დროებით გატაცებად, გადაცდომად და არაჯანსაღ დამოკიდებულებად შეიძლება შევაფასოთ. ეს ჯანსაღი ცხოვრების გზა ნამდვილად არ არის. რაც შეეხება მათ შეზღუდვას, არავინ არც ზღუდავს (ისინი თავისუფლად აფიქსირებენ თავიანთ აზრს და ქცევას) და არც არავინ სჯის ამის გამო. ზოგადად, რაც უფრო ცოტანი იქნებიან ჯანსაღ გზასაცდენილები, მით უკეთესი ჩვენთვის.

ლალა (45 წლის, დიასახლისი) - მე მართლმადიდებლური პრინციპებიდან გამომდინარე და მიმაჩნია, რომ ოჯახი - ეს ქალი

ოჯახის მცნება. ამას არანაირი მტკიცებულება და ახსნა არ სჭირდება, ეს აქსიომაა. მაგრამ, მინდა, შევეხო ყბადღებულ ლგბტ თემის წარმომადგენლებს და მათ დამცველ არასამთავრობოებს, როლებიც ჭიქაში ქარიშხალს ტყევენ. ეს, ვფიქრობ, პოლიტიკური დაკვეთა უფროა, ვიდრე რეალობა. მათ ზღუდავენ კი არა, ზოგიერთი თოქ-მოუები ისეთ რეკლამებს უკეთებენ ტელევიზიით, ისეთ ცნობად და პოპულარულ სახედ აქცევენ, რომ შეიძლება შეგპურდეს კიდეც. ეს მარაზმიც უნდა შეწყდეს. იცხოვროს ვისაც როგორ მიაჩნია სწორად და როგორც მის სულს და სხეულს ეამება, მაგრამ თავი დაანებონ დანარჩენ საზოგადოებას და ნუ ხდიან სამსჯელოდ იმ თემებს, რომელიც საზოგადოებას არ აინტერესებს. ზოგიერთ თოქ-მოუების წამყვანს თავი მოაქვს და თავი გაბედული და მაგარი ვინმე ჰგონია. სინამდვილეში საზოგადოების დიდ ნაწილს მათი თემატიკა არ მოსწონს. თუ არ მოგწონს, რატომ უყურებთ და საიდან იცით, რაზე ვსაუბრობთ, გადართეთ და ნუ გვიყურებთ, შემოგვედავებიან ისინი, მაგრამ ეს არ არის არგუმენტი, რომელსაც დავეთანხმები. არამც და არამც, ვუყურებ არა იმიტომ რომ მომწონს და მისაღებია, არამედ იმიტომ, რომ ვიცოდე რა ხდება ჩვენს გარშემო და მომავალ თაობას იქიდან მოვეფარო, საიდანაც არაჯანსაღი ცხოვრების ქარი უბერავს. საერთოდაც, საკითხზე მსჯელობა ერთია (ისიც არა ასე ინტენსიურად) და პროპაგანდა მეორე. ისე აპირებენ და წარმოაჩენენ მათ, თითქოს რაიმე მისაბაძი მაგალითი იყოს. არავინ უშლით, იცხოვრონ როგორც უნდათ, მაგრამ იყვენ თავისთვის.

ბიორბი (18 წლის, მოსწავლე) - ვეთანხმები ოჯახის განმარტებას და მის კონსტიტუციაში დაფიქსირებას. განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებს კი თავი



მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ:
 ა) კონსტიტუციაში შევიდეს ოჯახის განმარტების შემდეგი ფორმულირება: „ოჯახი არის მამაკაცის და ქალის ნებაყოფლობითი თანაცხოვრება“ და რატომ?
 ბ) შეზღუდავს თუ არა ეს განმარტება განსახვავებული ორიენტაციის ადამიანთა უფლებებს?
 მოვუსმინოთ, რას და რატომ ფიქრობენ ისინი:

მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენლები როგორც მსოფლიო, ისე ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. მათი კარიერისთვის ხელი არავის შეუშლია. ასეა დღესაც - ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და თავის საქმეს ბრწყინვალედ აკეთებენ მეცნიერები, მომღერლები, მოცეკვავეები, პოეტები, მწერლები. მათი უმრავლესობა უზნაურად ცხოვრობს, არც ვინმე ეხება მათ თავმოყვა-

ლერძის გარშემო ტრიალებს - ეს არის ჩვენი მართლმადიდებლური მრწამსი, ეროვნული ინტერესი, სიძარითლე და სამართლიანობა. მე, პირადად, როგორც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე ამ ქვეყნისა, სრულიად ვეთანხმები თითოეულ მათგანს ცალკე-ცალკე და ერთად. მინდა, საღმა აზრმა გაიმარჯვოს და მჯერა, ასეც იქნება!

გაკეთებთ თქვენს დედამიწას!

22 აპრილი დედამიწის დღეა. ის 1970 წლიდან აღინიშნება. ეს დღე სენატორმა გეოლოგ ნელსონმა მას შემდეგ დააარსა, რაც სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობი დაიღვარა, რის შედეგადაც ოკეანე დაბინძურდა და წყლის ბინადრები დაიხოცა.

ყოველი წლის 22 აპრილს 176 ქვეყანაში ამ დღეს აღნიშნავენ სხვადასხვა ორგანიზაციები. მილიონობით მოხალისე გარემოს დაცვის მიზნით მონაწილეობს ისეთ აქციებში, როგორცაა:

ბაღების და სკვერების გამწვანება, დასუფთავება და ა.შ. ადამიანები ცდილობენ დაზოგონ ელექტროენერჯია.

საქართველოში ბევრმა არ იცის, თუ რა არის 22 აპრილი და როგორ აღინიშნება ის ჩვენს ქვეყანაში. საქართველო 1990 წლიდან შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც დედამიწის დღე აღინიშნება. არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული ჯგუფი მოუწოდებს მოსახლეობას, მოუარონ დედამიწას, ტარ-

დება გამწვანების და დასუფთავების აქციები.

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დილოგი“ (RICDOG), რომელიც 5 წლის არსებობას ითვლის, ამ დღეს ზარების რეკითხს (ეს 22 აპრილის აღნიშვნის ერთ-ერთი ტრადიციული მეთოდია) მოუწოდებს ადამიანებს, გაამახვილონ ყურადღება გარემოს დაცვაზე და მოუარონ დედამიწას.

დედამიწა „ცოცხალი არსებაა“. მას მუდმივად სჭირდება მოფრთხილება. მის ბინადართაგან არც ერთი ცოცხალი არსება ისეთ ზიანს არ აყენებს მშობლიურ პლანეტას, როგორსაც ჩვენ, „ცივილიზებული და მოაზროვნე“ არსებები. ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვინც არ იცის თუ რა საფრთხე ემუქრება დედამიწას, თუკი გარემოზე არ ვიზრუნებთ. დაუდევარი მოქმედებების შედეგად, ნადგურდება უნიკალური მცენარეები, ქრება ცხოველთა ბევრი ჯიშო, ბინძურდება წყალი და ჰაერი, ზიანდება ოზონის შრე.



თუმცა რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ბუნებრივი კატასტროფები? ერთადერთი გზა, რითაც დედამიწის მოვლა შეგვიძლია, არის გარემოს დაცვა. უნდა შევეცადოთ, შევზღუდოთ ისეთი მოქმედებები, რითაც ზიანს

ვაყენებთ ჩვენს პლანეტას. ვიზრუნოთ, რათა რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსები, ნაკლებად დავაზიანოთ ბუნება და მოვუფრთხილოთ დედამიწას ჩვენი კეთილდღეობისა და ჯანმრთელი მომავლისათვის.



დედამიწის დღე დედოფლისწყაროშიც აღნიშნეს

22 აპრილი დედამიწის მსოფლიო დღეა. ამ დღის აღსანიშნავად გამწვანების აქცია მოეწყო დედოფლისწყაროშიც. მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებმა ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერი დასუფთავეს და ყვავილები დარგეს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ

ზვიად ჯავახიშვილმა. ანა კიკილაშვილი, გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსი: „დედამიწის დღესთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, სახლიდან მოგვეტანა ყვავილების ნერგები და გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია გაგველამაზებინა. ყველა თანამშრომელი აქტიურად ჩაერთო ამ აქციაში და თქვენც ხედავთ, რომ ყველა ზრუნავს სკვერის გალამაზებაზე“.

დედამიწის დღე 1971 წლიდან აღინიშნება და ეკოლოგიურ ხასიათს ატარებს, ის მიზნად ისახავს ბუნებრივი კატასტროფების აცილებასა და ეკოსისტემის მოფრთხილებას.

22 აპრილს მთელ მსოფლიოში საინიციატივო ჯგუფები, გარემოს დამცველი ორგანიზაციები და მოხალისეები უამრავ ღონისძიებას მართავენ. წელს კი მათ დედოფლისწყაროში შეუერთდა და ეს დღე გამწვანების აქციით აღნიშნა.



რუსუმი მოშენებულ კოლხურ ბზას აფხაზეთსაც გაუნაწილებენ

კოლხური ბზის მანებლის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, სპეციალისტების შეფასებით, მარადმწვანე მცენარე გადაშენების პირასაა.

ბზის გადასარჩენად გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელთან ერთად, ეროვნულმა სატყეო დეპარტამენტმა სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, - განაცხადა ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-პატრონობის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა.

მისივე თქმით, გეგმის პირველი ეტაპის ფარგლებში უკვე მოხდა დაავადების იდენტიფიცირება, მანებლის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და დაზიანებული ფართობების დამუშავება.

მაია კოდუა, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის (CENN) წარმომადგენელი ადასტურებს სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპის შესრულებას და შენიშნავს, რომ ამის მიუხედავად, კოლხური ბზა თავისი გავრცელების არეალში თითქმის გამძვინვარდა.

„ბზის 95% გამძვინვარდა. არსებული მდგომარეობა შევასუბუღია როგორც ეკოლოგიური კატასტროფა. ბზის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ გაჩენილი სოკოვანი დაავადების

შედეგად გახმა. 2014 წლიდან კი ბზის მანებელმა „ალურამ“ საბოლოოდ დააზიანა მცენარე“, ამბობს მაია კოდუა.

ნათია იორდანიშვილის თქმით, ბზის გადარჩენა მხოლოდ შენამეფლითი ღონისძიებებით არ შემოიფარგლება და ის სხვადასხვა ღონისძიებას მოიცავს.

„მიმდინარეობს ასევე, ბზის თესლის აღება-კონსერვაცია, შექმნილია თესლის ბანკი, ხდება ბზის დაკალმება მათ გასამრავლებლად და ბუნებრივ პირობებში დასაბრუნებლად. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ არ აქვთ მეცნიერებს დატესტილი მანებელთან ბრძოლის იდეალური საშუალება“, - ამბობს ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-პატრონობის დეპარტამენტის უფროსი.

ნათია იორდანიშვილის თქმით, ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში უკვე დაიწყო ზუგდიდის სოფელ რუსში, აფხა-

ზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს, კოლხური ბზის საწინააღმდეგო მუშაობის მშენებლობა. მას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაცია „აგორასთან“ ერთად აშენებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურ-

ბას მოგვეცემს შევინარჩუნოთ დაახლოებით 100 ათასამდე ნერგი. ეს რაოდენობა შეიძლება პრობლემას მთლიანად ვერ გადაწყვეტს, მაგრამ რეგიონში არსებულ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს“, - განაცხადა ვალერი ბასარიამ.

სანერგეში გამოყვანილი კოლხური ბზის ჯანმრთელი ნერგები აფხაზეთშიც გავრცელდება. უკვე გადასარგავად გამოზადებული ნერგებს ოკუპირებულ რეგიონში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია წაიღებს, რომელთან მოლაპარაკებას სანერგე მეურნეობის მფლობელი არასამთავრობო ორგანიზაცია

დასარჩენად ქართული და აფხაზური მხარეები ეფექტურად თანამშრომლობენ. ორივე მხარეს გათავისებული აქვს, რომ ბზა გადასარჩენია აქაც და აფხაზეთის ტერიტორიაზეც“, - თქვა თენგიზ სვანიძემ, არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა.

კოლხური ბზის მანებლის წინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებაში ქართულ-აფხაზური თანამშრომლობის პრეცედენტი უკვე შეიქმნა. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გაშენებული კოლხური ბზის შესანამლად, აპრილის დასაწყისში ზუგდიდის მერიას აფხაზურმა მხარემ ბიოლოგიური პრეპარატი „დიპელი“ გადასცა.

„ამ პრეპარატით, შარშან ორჯერ შევწამლეთ და საკმაოდ კარგი შედეგი მოგვცა. წელსაც გამოვიყენებთ. ვინაიდან, ეს პრობლემა ენგურსგაღმაც არსებობს, ორივე მხარის ინტერესებშია, რომ ამ მიმართულებით ვითანამშრომლოთ“, - განაცხადა ზუგდიდის ვიცე-მერმა გია გულორდავაძე.

ოფიციალური ინფორმაციით, სამეგრელოს ტყის 267 ათას ჰექტარზე გაშენებული კოლხური ბზა დაზიანებულია, ეროვნულ სატყეო სააგენტოში ზუსტდება მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არსებული ფართობის რაოდენობა, სადაც მცენარე ეკოლოგიური კატასტროფის წინაშეა.



ნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ბასარიამ თქმით, სანერგე მეურნეობა იქნება კოლხური ბზის გადარჩენის რეალური პროექტი.

„ამ ტერიტორიაზე გვექნება ამიერკავკასიაში პირველი რეზერვატი, რომელიც საშუალებ-

„აგორა“ აწარმოებს.

„აფხაზეთში უკვე შერჩეულია პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც რუსის სანერგეში გამოყვანილ კოლხური ბზის ნერგებს აფხაზეთში წაიღებს. ნახევარი ჩვენს მხარეს დარჩება. აღსანიშნავია, რომ კოლხური ბზის გა-

ბ მ ო ბ ა

ბზობა იგივე ბაიობა ათორმეტ ქრისტიანულ დღესასწაულს განეკუთვნება. ბზობა მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის აღსანიშნავად იდღესასწაულებს, როდესაც იესო ქრისტეს იერუსალიმში ხალხი პალმების რტობით, ფეხქვეშ გაგებულ საშინაო და მადიდებელი შეძახილებით — ოსანა მალალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა — შეეგება. იმ კურთხევაში თუ ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც პალმა არ ხარობს, ადგილობრივ დადგენილ ტრადიციის მიხედვით სადღესასწაულოდ ის მცენარე იხმარება, რომელიც გაზაფხულზე ამ დროს იქ ხარობს.

ბზობა-ბაიობა, როგორც ეს საეკლესიო კალენდრის მიხედვითაა დადგენილი, აღდგომის წინა კვირას მთელ საქართველოში იდღესასწაულებს.

დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციების შესახებ გვესაუბრება ნინო ლამბაძემ (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

„სვანეთის ყველა სოფელში ბზობის საღამოს გოგონები უკაცრიელ სახლში იკრიბებოდნენ და მღეროდნენ ე.წ. ლიგლოვი — კირიელის (კირე ელისონის): „ქრისტე! მოუტევე ცოდვები ჩემ გარდაცვლილს (დაასახელებდნენ) და დღეგრძელი და ყველა საქმეში წარმატებული ამყოფე ჩემი ნათესავი (დაასახელებდნენ)“. თითოეული გოგონა ჩამოყვებოდა და მოხსენიებდა თავის მიცვალებულს და ცოცხლებს, დანარჩენები კი მასთან ერთად იმეორებდნენ. გარეშეს, ვისაც ლიგლოვში მისიანების მოხსენიება უნდოდა, როგორც ცოცხლებს ასევე მიცვალებულების, მომღერლებისთვის კაკალი ან მარლის ნატეხი უნდა მიეცა, თითქოსდა იმის გამო, რომ მაცხოვარს მათი ლოცვები შეესმინა. გოგონები ვენების კვირაში, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, ამ წესს სიმღერის გარეშე ასრულებდნენ. ხალხის რწმენით ამ დღეებში არ ვარგოდა სიმღერა.“

სვანეთში ბზობის საღამოდან მთელი მომდევნო კვირის ანუ ვენების კვირის განმავლობაში ლირიკული ანუ ბოროტი ძალის განდევნა იწყებოდა. ბზობა საღამოს ყველა ოჯახის უფროსს ტყვიან ეკალი მოჰქონდა, რომლის ტოტებს კარის ქვეშ, ყველა ფანჯარასა და ნახევრებში დებდა, რათა სახლში ბოროტი ძალა არ შესულიყო. ლირიკინალის წესი ამგვარად სრულდებოდა: ოჯახის უფროსი ხელში იღებდა პატარა ნაჯახს, დანარჩენი ბავშვები და მამაკაცები მუგუზალს და გამოვრდნენ გარეთ, თან იძახდნენ: „ფუი! უწმინდურო ძალაო, დაგეწვით ფრთები! შეგიცნობთ და გამოგარჩევთ ისევე, როგორც შავ ცხვრებს თეთრებისაგან. თქვენ შესახებ სსოვნა თორმეტი მთის იქით. წმინდა გიორგის ბეჭდით ხართ დაბეჭდილები; ლითონის იარაღით ხართ დაჭედებულები. აიღეთ კბილებით ქვის ფილა, ჩვენთან კი ჯვრისა ძალა! ქვიშისა და ქვის ფილის გარდა სხვა არავითარი საქმელი არ გქონდეთ!“ ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ნაჯახის ყუას

ურტყამდა ქვას და ამბობდა: „დაე აქციეთ ქვად თქვენი მომავალი!“ დანარჩენებიც იმავეს იმეორებდნენ და აკეთებდნენ. ბოროტი ძალების განდევნის ამ წესს ყველა ოჯახი ვენების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს ასრულებდა.

რატა-ლიწნუში ეს დღე უქმე იყო. მიდიოდნენ ეკლესიაში და იქიდან მოჰქონდათ ბზა. სახლში მოტანილ ბზას თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩხლებზე დადებდნენ. თუ აბრიალდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბზის პატრონი დიდხანს იცოცხლებოდა, თუ მალე ჩაქრებოდა — ცოტა ხანს (ლიწნუში). რატაში ცეცხლში ჩაგდებული ბზა თუ ცეცხლის ალში ორჯერ ან სამჯერ წაღმა დატრიალდებოდა, ეს კარგი ნელინადის მომსახურებელი იყო, თუ უკუღმა — ცუდის.

სამბერელში ბზობა-ბაიობას ბაიას ყვავილს, რომელიც ფერის გამო ხალხისთვის მზესთან იყო ასოცირებული, სახლში, იატაკზე წრიულად დაფენდნენ და ზედ კვერცხებს გადააგორებდნენ. ამ კვერცხებს სააღდგომოდ აუცილებლად შელებდნენ. ბზობას ამზადებდნენ ფხალეულს, რომელშიც ბაიას ყვავილს აუცილებლად გაურევდნენ. სხამდათ, რომ ფხალეულის შექმნის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ენერგიით სავსენი იქნებოდნენ. ბზობისთვის ასევე უნდა ექამათ თევზი. ეკლესიაში კურთხევის შემდეგ ბზა სახლში მოჰქონდათ. მას მიცვალებულსაც უდებდნენ საფლავზე და ერთმანეთსაც ჩუქნიდნენ. ზოგან მამაკაცები იკრიბებოდნენ და ბზებით ეკლესიას სიმღერით გარს უფლიდნენ. ისინი ბზას ეკლესიაში მისულ ხალხს ჩუქნიდნენ.

მისხეთში ბზობას ქალებს მინდვრიდან თოვლი მოჰქონდათ და გზაში ჭამდნენ, შინ კი ოჯახის წევრებს და საქონელს გადააყრიდნენ, თან ამბობდნენ: „ბზო, ბზო, ბუზბო, აქაურობას მოშორდი“. ხალხს სწამდა, რომ ამ წესის შესრულების შემდეგ ბუზები მათ აღარ შეაწუხებდნენ.

ქართლში მღვდელი ტყვიან მოტანილ ბზას აკურთხებდა და ხალხს დაურთებდა. ხალხი ამ დღეს თევზს ჭამდა. მიცვალებულებისთვის ზურგიელს აკეთებდნენ. ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, დიდ ორგულს მოხარმავდა და ეკლესიაში წაიღებდა. თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, „დაპურებული“ იყო და ხალხის რწმენით პურის თავთავი კარგად დაისხამდა. იცოდნენ სანთლის დანთება. ქართლში ნირვალოცვაზე სიარულს ბზობიდან იწყებდნენ (ე.ი. დადიანდნენ ყოველდღე), ოთხშაბათიდან კი „დაიუქმებდნენ“. ქართლში ვენების ოთხშაბათს ბზობის ოთხშაბათსაც ეძახდნენ.

კახეთში ბზობას ხალხი ეკლესიაში მიდიოდა. ბზა ზეთისცხების შემდეგ მოჰქონდათ სახლში. აქაც თვლიდნენ, რომ თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, პურის უხვი მოსავალი ექნებოდათ, თუ არა და პირიქით.

ბზობას კახეთში მიცვალებულებისთვის ნანდილს ხარმავდნენ, აკეთებდნენ ზურგიელს. კახეთში სწამდათ, რომ თუ ზურგიელს არ შექამდნენ, მათი მიცვალებულები საიქიოში წყალს ვერ დალევდნენ. მათ წყალთან არ მიუშვებდნენ. ეკლესიიდან ბზა რომ მოჰქონდათ, ერთმანეთს დაარტყამდნენ, თან გაულებსადავდნენ:

„აჰა, ჭვავი ბზა, ჯვარიოს გზა, მიტრიალდი, მოტრიალდი, გაიხრდი და გატრიალდი.“

ხალხი ცდილობდა მთელი დღის განმავლობაში ყვავი არ დაეწახა: ყვავი წინილას აღარ შექამსო. ხალხში ასეთი გამოთქმა არსებობს: „ბზობის ყვავიეთი გაქრაო“, რაც ვისმეს ერთბაშად გაუჩინარებს ნიშნავს. მთელი ზამთრის განმავლობაში ყვავი სარჩოს საძებნელად სოფელს დასტრიალებს. ხალხის დაკვირვებით გაზაფხულზე, რომლის დადგომასაც იგი ბზობას უკავშირებდა, ყვავები სოფლის მახლობელ ტყეებში მიფრინავდნენ, სადაც საკვებს უხვად პოულობენ, ბზობის შემდეგ კი სოფელში იშვიათად ჩანან.

კახეთში ბზობას საქმის კეთება იცოდნენ, — ყველაფერი ბარაქიანი იქნებოდა. უფრო თესვდნენ: სიმინდს, ლობიოს, კიტრს — ბზასავეთ დაისხამსო. კახელებმა უკავად იცოდნენ, რომ ხარება და ბზობა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, შესაძლოა, ხარება წინ უსწრებდეს ბზობას, ან პირიქით. იმ შემთხვევაში, თუ ხარება ბზობას მოსდევს, ხალხის თქმით თევზით არ ხსნილდება, რაც

საეკლესიო ტიპიკონს სრულად შეესაბამება.

ბუღაბაყარში ბზას ბავშვებს თავში უკეთებდნენ, ყვავები დაიმალეობიანო. ზოგი ბზას კვერცხებზე ცვლიდა.


ბზობას სძვენი ბზობა-კაზარობას ეძახდნენ. მოხვევები ამ დღეს უქმობდნენ, ეკლესიაში ნორვა-ლოცვას ესწრებოდნენ, ეზიარებოდნენ და მღვდელი მათ ზოთი ნაკურთხ წყალს ასხამდა. ხევი ბზის მაგივრობას ტირიფი ასრულებდა.

მთელ ფშავ-ხმუხურეთში მხოლოდ სოფელ მალაროსკარში არის ბზა. ამ სოფელში იყო პატარა კომპი — წმ. გიორგის სალოცავი. გადმოცემის მიხედვით, რადგანაც ქრისტიანულ ეკლესიას ბზა სჭირებოდა და ფშავ-ხევისურეთში იგი არ იყო, ქრისტიანობის განსამტკიცებლად თამარ მეფეს წმ. გიორგის ნიშნად ეს მცენარე გაუშენებია. ამ ადგილს ბზიანას ეძახიან. აქვე ქრისტიანული ეკლესიაც მდგარა. თავდაპირველად მცირე ტერიტორიაზე დარგული ბზა დროთა განმავლობაში დიდ ფართობს მოსდებია. ხატი ბზიანაში პირუტყვის შეყვანას კომდავდა. ვისი პირუტყვიც ბზიანაში შევიდოდა, ხატი მას დაამიზნებდა, ანუ ავად გახდებოდა, ან საქონელს უზარალებდა, ან სხვა რაიმეს შეამთხვევდა. დაზარალებული მივიდოდა მკითხავთან, რომელიც ერთი საკლავისა და სანთელ-სანირის მიტანას დაავალბდა. ფშავში ბზობა მათურის მთავარანგელოზის ხატი იცოდნენ. მიცვალებულის პატრონს ეკლესიაში თევზი მიჰქონდა და იქ მყოფებს უმასპინძლებოდა. ხატი არც საქმელის მიტანა იცოდნენ და არც სასმელის. ხევისბერი მლოცველის მიერ მიტანილ სანთელს ჩამოქნიდა, დაანთებდა, ილოცებდა ხატის ყმებისთვის, რის შემდეგაც მლოცველი შინ ბრუნდებოდა.“

რუსულან ჯანიკაშვილი-ნატროშვილი

გათენდა 28 აპრილი. ისევ იღვიძებენ სუთი წლის წინანდელი მოგონებები. ისინება ძველი იარები და დეგბა ტკივილიანი დღე. სუთი წლის წინ, დილის 10 საათზე, საბოლოოდ ამოისუნთქე და შენი სიკეთითა და სილამაზით გაჟღენთილი ცხოვრება დაასრულე. ჩემთვის დღესაც დაუფერებელია შენი არ ყოფნა, ბებო. ჩემს თვალწინ ყოველდღე დეგბე და როგორც უწინ, ისე გესაუბრები. ვიცი, რომ გადანიცვლე ცათა სასუფეველში, შენი სიყვარულის, სიკეთის და გულმონაყალბის სანაცვლოდ უფალმა მიგილო და იმ სიყვარულით შეგიყვარა, როგორც შენ

გიყვარდა ის. სუთი წელი გავიდა, მონატრება, სევდა და მოგონებები ყოველდღიურად გვახსენებს თავს. მე ძალიან მიყვარხარ, ბებო, თავიდანვე რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობა გვექონდა ჩვენ და ამიტომაც ვწერ ალბათ ამ ტექსტს. გული მწყდება, რომ შენს ნახვედი, თუმცა, თავს ვინუგეგმებ იმით, რომ შენ გვხვდავ, გვიახლოვდები და გვესაუბრები. ჩვენ მუდამ გვახსოვხარ და გვიყვარხარ და მონატრებას არ მივცემთ უფლებას, რომ შენი თავი ანმყოფად წარსულში გაგვახსენოს.



მონატრებით, შენი მეუღლე როზინაონი, შვილები: ცინიონი, ლია, გინა, დიმიტრი მუჟლავაში, შვილიშვილები: ნიკა ნათია, ბიორბი, მიზა, რუსულანი, ზუსრა და შვილთაშვილი სპა.

დიდი სიყვარულითა და



ზაზა კოიაშვილი

სოფელს გაგარდა. ჩემო ზაზა, შენ ძალიან კარგი შვილი, მოსიყვარულე მეუღლე, ერთგული ძმა და მეგობარი იყავი, შვილო. იყავი კეთილი, ხალისიანი, სიყვარულითა და სიცოცხლით სავსე. რაც დრო გადის, მონატრება უფრო ძლიერდება და ტკივილი უფრო მატულობს. დარჩა მხოლოდ ფოტოზე შენი სიყვარულით სავსე თვალები და ლამაზი მზერა.

10 წელი დიდი დროა შვილო, 37 წლის ვაჟკაცი ხარ, მოგიკვდეს დედა. სიზმარში მაინც მოდი დედასთან, სიზმარში მაინც შევიგრძნო შენი სუნთქვა, შენი სიტბო. გავიგონო შენი ხმა.

„დღეს დამე მოჰყვება, ცრემლს ჩუმი სვედა, სიხმარად მოსული მოგეფერები, არ დაიდარდო, დედა.“

უზომოდ მენატრები, შვილო. ყველაფერი სიზმარი მგონია და მინდა, ერთ დღესაც გავიღვიძო, დაგინახო, გულში ჩაგიკრა, მოგეფერო და გითხრა: „ძალიან მომენატრე, ჩემო სოცოცხლებე, მიყვარხარ და აღარასოდეს მიმატოვო-მეთქი.“ შენი ფეხვიდან ამოსული ერთი ტოტი, შენი ლიკა გვასულდგამულებს, შენს მონატრებას მას-

ში ვიკლავთ. ლიკა ძლიან გგავს, შვილო. მალე 15 წლის გახდები. მას ბუნდოვნად ახსოვხარ(ის ხომ მაშინ 4 წლის იყო) ხშირად ჩამოდის სოფელში, ერთად მოვდივართ შენს საფლავზე, ვუვლით, გინთებთ სანთელს და ორივე ჩუმად გესაუბრებით.

უკვე 10 წელია, გაზეთის ამ მტკივნეული გვერდიდან გესაუბრები, შვილო, გეფერები მარადილობაში გადასულს.მე მჯერა, რომ მინიერი ცხოვრებით არ მთავრდება ყველაფერი, სიკვდილი ხომ მხოლოდ გადასვლაა სრულყოფილი ცხოვრებისკენ. აი, ამაშია ჩემი და შენი მეუღლის, ნათიას ნუგეში, შვილო.

ყველას ძალიან ენატრები ჩემო სიხარული, ენატრები შენს მშობლებს, შენს ცოლ-შვილს, ენატრები გოგიტას, გოჩიკოს, ბებებს, ბიძებს, ბიძაშვილებს და შენს მეგობრებს. აღდგომის დღეს ყველანი მოვალთ შენს საფლავზე, შემოვიგორებთ ნითელ კვერცხს, გაგიჭრით პასკას, დაგინთებთ სანთელს. გულმხურვალედ მოვეფერები შენს სურათს და ღმერთს შევთხოვ, რომ ისმინოს გატანჯული დედის ვედრება და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი ოჯახი


შოთა (ანზორი) ზურაშვილი

18 აპრილი შენი დაბადების დღე იყო. პირველი შემთხვევაა, როცა ამ დღეს ჩვენთან აღარ ხარ, ჩვენო ანზორ. მძიმე ავადმყოფობამ გამოგვაცალა ხელიდან შენი თავი, ნახვედი და დაგვიტოვე ერთად თანაცხოვრების ტკბილი მოგონებები. გულსაკლავია, ჩვენთან რომ აღარ ხარ, გული გვწყდება, რომ შენმა ვაჟკაცმა-მამუკამ, საქართველოში არყოფნის გამო, გულზე ცრემლები ვერ დაგაყარა და ვერ მიგაცილა სამარის კარამდე.

დასაფასებელია, რომ მთელი შენი ყმანვილკაცობა და სიჭაბუკე შრომაში გაატარე, თავად გაიკვლიე გზა ცხოვრებაში, ისწავლე და შენი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, მთელი ცხოვრება შენებას მოახმარე. შენ ხომ ყველაზე ზრუნავდი, ვისთანაც ხელი მიგინვდებოდა და უანგაროდ გასცემდი სიკეთეს, ამიტომაც ღირსეული სახელი დატოვე შენს საახლობლოში და დაიმსახურე მათი დიდი სიყვარული.

გპირდებით, არასოდეს დაგივინებთ, ყოველთვის პატივისცემით და დიდი სიყვარულით მოგიხსენიებთ და ხსოვნას მივაცხებთ შენს უკვდავ სახელს. იძინე მშვიდად, ჩვენო ძვირფასო და უსაყვარლესო მშობლო, მეუღლე, პაპავ და მეგობარო, ნურაფერი შეაწუხებს შენს სულს. გვეყვარა, რომ უფალი სასუფეველს დაუქვიდრებს შენს სულს.

შენი ოჯახი



„ქველმოქმედებას არა აქვს საზღვარი“ ...

„სეკვანე ვარსკვლავები“ გოგა სისაურის დასახმარებლად გაერთიანდნენ



ობს, საოცარი ბუნებაა და ყოველთვის მიყვარს აქ ჩამოსვლა. ბედნიერი ვარ, რომ დღეს ჩვენი გუნდის დახმარებით, ამ ადამიანის მკურნალობაში წვლილი შევიტანეთ. დიდი მადლობა გულთბილი დახვედრისთვის და მასპინძლობისთვის.“

ლალი ნატროშვილი (კონცერტის ორგანიზატორი): „ორი წლის წინ ავთვისებიანი სიმსივნე დავამარცხე და მას შემდეგ სულ მაქვს განცდა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. პროფესიით პედაგოგი ვარ და ამასწინათ, როცა სკოლაში გოგას სურათი გამოაკრეს, რომ დახმარება ესაჭიროებოდა, მას შემდეგ სულ ვფიქრობდი, რითი შეიძლებოდა დაეხმარებოდით და რა გაგვეკეთებინა მის მხარდასაჭერად... ერთ დღესაც მომივიდა აზრი, რომ ყველაზე პოპულარული შოუს მონაწილეების დედოფლისწყაროში ჩამოსვლა დიდ ინტერესს გამოიწვევდა. როცა ეს იდეა ჩემს მეგობრებს გავუზიხე, არასერიოზულად აღიქვეს. ბევრმა მიიჩნია, რომ ნაკლებად რეალური და რთულად განსახორციელებელი იდეა იყო. თუმცა, დიდი ერთუზიანობით მივუდექი საკითხს და ჩემდა გასაოცრად „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემოქმედებითმა ჯგუფმა ზარზეც მიპასუხა, კარგადაც მომისმინა, გაითავისეს ჩვენი პრობლემა და თქვეს, რომ ამ დიაგნოზით მეგობარი მათაც ჰყავთ და კარგად ესმით ჩვენი გასაჭირი. სწორედ ამიტომ, საიმოვნებით დაგვთანხმდნენ აქ ჩამოსვლაზე. ყველაფერი ორ დღეში გადაწყდა. სულ ვლოცულობდი და უფალს ვთხოვდი, რომ ჩამოსვლა მოეხერხებინათ და ჩვენი ჩანაფიქრი განხორციელებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ დადებითი პასუხი ჩამოვიტანე, მაინც განვიცდიდი, რადგან მათი გრაფიკიდან გამომდინარე რისკი არსებობდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს მოხერხდა და ჩვენს გვერდით დადგნენ. ყველა ბილეთი გაიყიდა და კიდევ იყო მსურველი, თუმცა ადგილი აღარ გვქონდა. ძალიან მადლობელი ვარ „იმედის“ შემოქმედებითი გუნდის, ერთ ვერ აღვწერ, იმხელა მხარდაჭერა გამოხატეს და ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.“



„ქველმოქმედებას არა აქვს საზღვარი“-ამ ლოზუნგით დედოფლისწყაროს კულტურის სახლში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა ადგილობრივ ფოლკლორულ კოლექტივებთან და ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად სატელევიზიო მეგამოუ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მოცეკვავეებმა და შემოქმედებითი ჯგუფის წევრებმა მიიღეს. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა სოფელ სამრეკლოს მკვიდრის, გოგა სისაურის სამედიცინო რეაბილიტაციის მოხმარდება.

კონცერტს დედოფლისწყაროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

ღონისძიება სრული ანჰალგით ჩატარდა.

გაზეთი „შირაქი“ კონცერტის ორგანიზატორებსა და სტუმრებს გავსაუბრა:

რუსა მორჩილაძე (კომპოზიტორი): „როდესაც საქმე ქველმოქმედებას და ადამიანების დახმარებას ეხება, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვერთვებით და დღესაც სიამოვნებით გამოვნახეთ დრო დედოფლისწყაროში ჩამოსასვლელად. მიუხედავად იმისა, რომ რეპეტიციების გაცდენა მოგვიხდა, თქვენს გვერდით დავდექით. ზოგადად, კახეთი ჩემი საყვარელი მხარეა, ძალიან მართალი ხალხი ცხოვრობს, საოცარი ბუნებაა და ყოველთვის მიყვარს აქ ჩამოსვლა.“

ულოცავენ! ანა მოლაშვილს!



გილოცავთ 5 წლის იუბილეს. დაბადების დღე ხომ უდიდესი მოვლენაა. დაესწარი მრავალს, ამ დღესასწაულად ქცეულ ღამაზე დღეს - 24 აპრილს.

ჩვენო ტკბილო, თბილო, საყვარელო, ოჯახის სანატრელო, ბედნიერად გასაზრდელო, გასახარელო, გულში გიხუტვით, თავს გველებით, ჩვენო თვალმერცხალა გოგო.

იცოცხლე დიდხანს შენს საყვარელ დაიკო მარისთან ერთად.

ღმერთი იყოს შენი მფარველი.

ბებო მარინე, პაპა გურამი, დაიკო მარი მოლაშვილები.

იზა ბიკაშვილ-ლაიაშვილს!

ჩვენო იზა, გისურვებთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, რომელიც ასე გჭირდება. დიდხანს იყავი ამ ქვეყანაზე შენი ოჯახის და მეგობარი „შიდიდულის“ საიმედოდ.

დაბადების დღეს გილოცავთ, გიბერავდეს ზურგის ქარი, საიქედო დაქალი ხარ, უღალატო მეგობარი. მუდამ გიდიმოდეს ბედი, თვალში სისხარულის ცრემლი, ია-ვარდით მოფენილი გ სა გაგველოს ასი წელი.

პატივისცემით, შინი მამოპარი „შვიდულის“.



აპრილი		დეკემბერი		ოქტომბერი		ნოემბერი		დეკემბერი		იანვარი	
ორშაბათი 25.04	სამშაბათი 26.04	ოთხშაბათი 27.04	ხუთშაბათი 28.04	პარასკევი 29.04	შაბათი 30.04	კვირა 01.05					
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
16°	15°	19°	18°	18°	16°	15°	14°	12°	11°	11°	10°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შილაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლგა: ლალი მხრისიანი, ილია მარტყოფიანი (ურნალისტები);
ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი
(ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ პაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო,
ფიოსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)
რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.